Partnership for Good Governance
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

რას ნიშნავს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის?

ევროკავშირის/ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული რეგიონალური პროექტების შედეგები[1]

2014 წლის აპრილში ევროკავშირი და ევროპის საბჭო შეთანხმდნენ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა, უკრაინა და ბელორუსია) მიზნობრივი თანამშრომლობის ღონისძიებების განხორციელებაზე, რათა ამ ქვეყნებმა შესძლონ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის სფეროში. "პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის" პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები დაფინანსებულია ძირითადად ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებულია და ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ.

"პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" ფარგლებში გათვალისწინებულია რეგიონული პროექტების გარშემო ექვსი ქვეყნის წარმომადგენლების თანამშრომლობა და პირისპირ შეხვედრების ორგანიზება. აღნიშნული პროექტები ფინანსდება ძირითადად ევროკავშირის და ასევე ევროპის საბჭოს მიერ, და პროექტებს ევროპის საბჭო ახორციელებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, ბელორუსიის გარდა, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებია.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სასამართლო რეფორმაზე რეგიონული დიალოგი

ამ რეგიონულმა პროექტმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მართლმსაჯულების შემდგომი რეფორმების განხორციელების დადებითი დინამიკა შექმნა და გააღრმავა აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლების ცოდნა ევროპული სტანდარტების შესახებ. პირისპირ დიალოგმა გააძლიერა მოსამართლეებს, პროკურორებს, იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებს და ადვოკატთა ასოციაციებს შორის თანამშრომლობა და ხელი შეუწყო ქსელის ჩამოყალიბებას.

---

[1] ადრე ცნობილი იყო როგორც ევროპის საბჭოს / ევროკავშირის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის, მოლდოვის რესპუბლიკისთვის, უკრაინასა და ბელარუსისთვის.

გამოიკვეთა არსებული გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა. რეკომენდაციები შემუშავდა ეროვნული მართლმსაჯულების რეფორმების შესახებ კონკრეტული მიმართულებებით, როგორიცაა, დამოუკიდებლობა, ეთიკა, დისციპლინური პასუხისმგებლობა, მოსამართლეთა შერჩევა, შეფასება და იმუნიტეტი; სამართლებრივი დახმარება; საქმეების ეფექტური განაწილება; მართლმსაჯულების სისტემაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; და ალტერნატიული დავის გადაწყვეტის მექანიზმები. გამოცდილების გაზიარების შედეგები აისახა **სამუშაო ჯგუფების ანგარიშებში.**

- პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გაძლიერება

ვენეციის კომისიის მიერ განხორციელებულმა ამ პროექტმა ხელი შეუწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საკონსტიტუციო პროცესს საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების გზით, რამაც უზრუნველყო ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა საკონსტიტუციო სამართლის ევროპულ სტანდარტებთან. კანონმდებლობის მიმოხილვა განხორციელდა ხუთ ქვეყანაში. საკონსტიტუციო კანონმდებლობაში გათვალისწინებული იქნა ევროპის საბჭოს მიერ გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია:

- ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით საქართველომ გადასინჯა საკონსტიტუციო სასამართლოს და საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც 2016 წელს შევიდა ძალაში;
- მოლდავეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მთავრობის აგენტის შესახებ კანონის 27-ე მუხლის კონსტიტუციურობის შესახებ. გადაწყვეტილება დაეფუძნა სასამართლოს მეგობრის (amicus curiae brief) მიერ გაწეული რეკომენდაციების უმრავლესობას;
- უკრაინამ საკონსტიტუციო კანონმდებლობაში გაითვალისწინა ევროპის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებს უმრავლესობა;

საკონსტიტუციო სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების ქსელის გაძლიერება, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან მულტილატერალურ ფორუმებზე საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში მიმდინარე პროცესების განსახილველად და საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად. CODICES-ს მონაცემთა ბაზა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საკონსტიტუციო სასამართლოების დამოუკიდებლობას. იგი წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოების ინსტრუმენტს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისთვის მოიძიონ უცხოური და საერთაშორისო სამართლის მითითებები. 2016 წელს CODICES-ს მონაცემთა ბაზა დაიხვეწა, რამაც უზრუნველყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ აღნიშნულ ბაზაში არსებული სხვა იურისდიქციის გადაწყვეტილებების უკეთესი ხელმისაწვდომობა.

- პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა ქალთა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ბარიერების იდენტიფიცირებას, ასევე გენდერზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარებას. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ეროვნული

სამართლებრივი, პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სფეროში და უზრუნველყო ეროვნული დიალოგის ინიცირება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) შესახებ. რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ჩატარდა მრავალი ღონისძიება, სადაც თავს იყრიდა იუსტიციის სამინისტროს, სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის, სამართლის სპეციალისტები. აღნიშნულ ღონისძიებებზე განიხილებოდა მიღწევები და გამოწვევები ისეთი მართლმსაჯულების სისტემის შექმნის გზაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ქალთა თანასწორ უფლებებს, შესაძლებლობებსა და მონაწილეობას.

ეროვნულ დონეზე ჩატარდა კვლევები, განხილულ იქნა ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კონკრეტული სამართლებრივი, პროცედურული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაბრკოლებები. შედეგად გაუმჯობესდა ინფორმაციისა და ანალიზის ხარისხი და ხელმისაწვდომობა. 2016-2017 წლებში, ეროვნულ დონეზე ყველა ბენეფიციარ ქვეყანაში ჩატარებული ტრენინგების შედეგად, სადაც ტრენინგში მონაწილე 510 ადამიანიდან 50%-ზე მეტს ქალები წარმოადგენდნენ, მოსამართლეები, პროკურორები და სხვა სამართლის სპეციალისტები თავიანთ საქმიანობაში იყენებენ გენდერ-სენსიტიურ მიდგომას. გენდერული თანასწორობის მომხრეები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მხარს უჭერდნენ გზამკვლევის შემუშავებას ქალებისთვის ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ საჩივრების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარდგენის ხელშესაწყობად.

► პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

პროექტის განხორციელების შედეგად ექვს ქვეყანაში გაძლიერდა რეგიონული თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, რამაც გააუმჯობესა არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის საჭირო გარემო, შექმნა დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობის მექანიზმები და ხელი შეუწყო სამოქალაქო მონაწილეობის კულტურის ჩამოყალიბებას. განხორციელდა არსებული კანონებისა და პოლიტიკის ყოვლისმომცველი კვლევა და ანალიზი[2], რამაც უზრუნველყო მნიშვნელოვანი პრაქტიკული ცოდნის დაგროვება ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთქმედებისა და კონსულტაციების ყველაზე ეფექტური მექანიზმების შესახებ. რეგიონულ დონეზე ჩამოყალიბდა არაფორმალური ქსელი, რომელიც მიზნად ისახავდა საერთო ან მსგავსი პრობლემების გადაწყვეტას, როგორც საჯარო ხელისუფლების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ერთობლივი ბერკეტების შესაქმნელად.

► პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს

[2] სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ნაწილი პირველი: კანონმდებლობა და პოლიტიკა
სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ნაწილი მეორე: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის სტრატეგიული განვითარების პრაქტიკა და განხორციელების ღონისძიებები

ადამიანის უფლებების სფეროში განათლებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის ხელშეწყობა

ამ პროექტმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ხელი შეუწყო ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების (EDC / HRE) შემდგომ განვითარებას, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ეროვნულ დონეზე განათლების რეფორმის განხორციელების პროცესს. პროექტი თითოეულ ქვეყანაში გახდა კარგი პრაქტიკის გავრცელებისა და რეგიონულ დონეზე ევროპული სტანდარტების ამაღლების კატალიზატორი.

ეროვნულ დონეზე შედეგში მოიაზრება პოზიტიური განვითარება, როგორიცაა, მაგალითად დემოკრატიული მოქალაქეობის/ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებული პროგრამების შემუშავება განათლების პროფესიონალთათვის; ტრენერების კოჰორტის შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ცოდნის გაზიარებას; დემოკრატიული მოქალაქეობის /ადამიანის უფლებების სწავლების პრინციპების ინტეგრირება სასკოლო პროგრამებში და სწავლების პრაქტიკაში.

2016 წელს სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში სასწავლო კურსებში მონაწილეობა მიიღო 190-ზე მეტმა განათლების სპეციალისტმა. სასწავლო კურსი განკუთვნილი იყო სკოლის და სკოლამდელი განათლების პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის. უკრაინაში ტრეინინგ პროგრამა ორიენტირებული იყო ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტებზე და მოიცავდა 25 რეგიონულ ცენტრს. საქართველოში ტრენინგი ჩაუტარდა ექსპერტების ძირითად ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ცოდნის შემდგომ გაზიარებას.

რეგიონულ დონეზე ბელორუსიისა და სომხეთის განათლების ეროვნულ ინსტიტუტებს შორის ხელი მოწერა 2017-20022 წლებში თანამშრომლობის შეთანხმებას, EDC/HRE პრინციპების განათლების სისტემაში ინტეგრირებისთვის. აღნიშნული ასევე მოიცავდა EDC/HRE ონლაინ პორტალის შემუშავებას (საგანმანათლებლო რესურსებით, ონლაინ კურსებით და კოლაბორაციისთვის განკუთვნილი სივრცეებით), ეროვნულ სასწავლო პროგრამებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ინტეგრაციას, კულტურათაშორისი კომუნიკაციის ხელშეწყობას და ევროპის EDC/HRE კოლეგიალური სწავლების განვითარებას.

► [პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს]

პენიტენციური რეფორმის ხელშეწყობა: სადამსჯელო და სარეაბილიტაციო მიდგომა

ამ რეგიონული პროექტის ფარგლებში სომხეთმა, საქართველომ, მოლდავეთის რესპუბლიკამ და უკრაინამ სტრატეგიული მითითებების საფუძველზე უზრუნველყო გადატვირთვის პოლიტიკის დანერგვა. ერთ ქვეყანაში შესაბამისი ღონისძიებების ეფექტური განხორციელება შესაძლოა შთაგონების წყარო გახდეს სხვა ქვეყნისთვის. პროექტის ფარგლებში გაძლიერდა რეგიონული თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ოთხი ქვეყნის მაღალი რანგის თანამდებობის პირებსა და პრაქტიკოსებს შორის ციხეების გადატვირთულობის შესახებ გამოცდილების გაზიარების ფორუმის შექმნით. იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე აღიარა და გარკვეულწილად გადაჭრა გადატვირთვის პრობლემა, გაზარდა რეგიონალური

თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების სურვილი იმ ქვეყნებში, სადაც გადატვირთულობა ჯერ კიდევ დღის წესრიგშია. საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, ქვეყნებისთვის მიზნობრივად მომზადდა რეკომენდაციები ციხეებში გადატვირთულობის წინააღმდეგ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. პროექტი განხორციელდა 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე.

► [პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს]

სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების რეაგირება ციხეებში ნარკოტიკებზე დამოკიდებულების წინააღმდეგ

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის "პომპიდუს ჯგუფის" რეგიონული პროექტის ფარგლებში დამყარდა რეგიონული თანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავდა სასომხეთში, საქართველოში, მოლდავეთის რესპუბლიკასა და უკრაინაში ციხეების გადატვირთვის, დაპატიმრების ალტერნატივის და ნარკოტიკების მომხმარებლების რეაბილიტაციის შესახებ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ქართველ პოლიტიკოსებს ევროპული სტანდარტების შესაბამისად შეემუშავებინათ ციხის გადატვირთვისა და ალტერნატიული სასჯელის შესახებ ეროვნული პოლიტიკა. უკრაინაში პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ციხის ადმინისტრაციას გაეუმჯობესებინათ თერაპიის საშუალებები, როგორიცაა მაგალითად, არასრულწლოვან ციხეებში ოჯახური თერაპია და რისკის შეფასების მეთოდოლოგია. სასომხეთში, საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილების გაზიარების შედეგად გაუმჯობესდა ზიანის შემცირების მომსახურება, ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის პროგრამები და აივ ინფექციის პრევენციის პროგრამები ციხეებში. გარდა ამისა, პროექტის განხორციელების შედეგად მოლდავეთის ციხეებში მოხდა მედიკამენტოზური თერაპიისა და რეაბილიტაციის სერვისების დივერსიფიცირება. ციხის თანამშრომლებსა და სოციალურ მუშაკებს ჩაუტარდათ ტრენინგი ციხეში თერაპიაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნისა და მისი მუშაობის შესახებ. ტრენინგს მოჰყვა სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო პუნქტის განახლება. ამჟამად ის მოლდოვის რესპუბლიკაში პირველი თერაპიული საზოგადოებაა ციხეში.

► [პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს]

კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა

ეს პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს დაეხმარა კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებაში. პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანას შორის კარგი პრაქტიკის გაზიარება და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერება. პროექტი აერთიანებს რეგიონალური და პილოტური ქვეყნების საქმიანობას, რომლებიც პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროექტების განხორციელების დამხმარე საშუალებებს წარმოადგენს. რეგიონულ დონეზე, ევროპის საბჭომ ტექნიკური დახმარების რეკომენდაციების საშუალებით ხელი შეუწყო ქვეყნებში კორუფციის ფაქტების აღმოჩენის პრაქტიკის გაუმჯობესებას. ჯანდაცვის სექტორში კორუფციის რისკების შეფასების შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა ჯანდაცვის სექტორში კორუფციის არსებობის რისკები და სუსტი წერტილები.

შემოთავაზებულ იქნა სარეკომენდაციო ქმედებები ხუთ ქვეყანაში რისკების კონტროლის გაუმჯობესებისთვის.

ქვეყნებთან დაკავშირებული ექსპერტული მოსაზრებები გათვალისწინებულია ეროვნულ დონეზე მიმდინარე რეფორმებში:

- მოლდავეთის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო რჩევები შეემუშავებინა სისხლის სამართლის კანონპროექტები კორუფციული სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებული სანქციების გამკაცრებისთვის;
- პროექტის განხორციელების შედეგად აზერბაიჯანმა დანერგა და გააძლიერა საჯარო სამსახურში რისკების მართვის პროცესი;
- ბელარუსი, ევროპის საბჭოს ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე გაძლიერდა განათლების სისტემაში კეთილსინდისიერებისა და კორუფციის აღმოფხვრის მიმართულებით მუშაობა კარგი მმართველობის რისკების შეფასების განხორციელების გზით.

კიბერდანაშაული: პროექტები რეგიონულ/საერთაშორისო და საჯარო/კერძო თანამშრომლობაზე

საერთაშორისო თანამშრომლობის გზით ევროპის საბჭომ უზრუნველყო სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამსახურისა და 24/7 პუნქტის თანამშრომლების უნარ-ჩვევების განვითარებას საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. პროექტის ჯგუფმა ტრენინგი ჩაუტარა სამართლებრივი ურთიერთდახმარების და 24/7 საკონტაქტო პუნქტების თანამშრომლებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მასშტაბით. ასევე დახმარება გაუწია ქვეყნისთვის სპეციფიკური რეკომენდაციების შესრულებასა და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობისთვის ონლაინ ინსტრუმენტების გაუმჯობესებაში. ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლას კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ და გაზარდა მულტინაციონალური მომსახურების მიმწოდებლების კომუნიკაციის ეფექტურობა.

კიბერდანაშაულის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად საჯარო/კერძო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ევროპის საბჭომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ჩართო ეროვნულ და რეგიონალურ დიალოგში სამართალდამცავებსა და ინტერნეტ-პროვაიდერებს (მათ შორის მულტინაციონალური კომპანიები) შორის. აღნიშნული დიალოგი მიზნად ასახავდა სისხლის სამართლებრივი გამოძიების დროს მონაცემთა ბაზებისა და მტკიცებულებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო ასევე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე განხორციელებულმა კვლევებმა, რომლებიც შეეხებოდა საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. შედეგად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან ხუთმა ქვეყანამ ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, ორი ქვეყანა კი გეგმავს გააფორმოს ან გააფართოვოს არსებული თანამშრომლობის შეთანხმებები. რეგიონში პირველი რეალურ დროში ტექნიკური დახმარების საშუალებით, პროექტის მხარეებმა შეიძინეს უწყებათაშორისი თანამშრომლობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები კომპიუტერული ინციდენტების აღმოსაფხვრელად, კიბერდანაშაულის გამოსაძიებლად და ერთობლივი ფინანსური დაზვერვის განსახორციელებლად.

- [აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კიბერდანაშაულის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს II: რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა]
- [აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კიბერდანაშაულის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს III: საჯარო/კერძო თანამშრომლობა]

ონლაინ სივრცეში ადამიანის უფლებების დაცვის პატივისცემა

ეს იყო პირველი თანამშრომლობის პროექტი ინტერნეტ მმართველობის სფეროში. რეგიონულ და გლობალურ დებატებში აქტიურად იყვნენ ჩართული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დაინტერესებული წარმომადგენლები. რეგიონულ დონეზე ინტერვენციებმა უზრუნველყო და უფრო ინტენსიური გახადა ბენეფიციარ ქვეყნებში ფორუმების შექმნა, რამაც განაპირობა ინტერნეტისა და ადამიანის უფლებების ეროვნულ დონეზე პოლიტიკის გამტარებლების დღის წესრიგში ჩართვა. პროექტმა საშუალება მისცა ევროპის საბჭოს გაეფართოებინა მოქმედების არეალი, პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან მეტი დაინტერესებული მხარეები ჩაერთო და ჩამოეყალიბებინა გამოცდილების გაცვლის რეგიონული პლატფორმა.

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის წარმომადგენელი ჩაერთო ინტერნეტ მმართველობის შესახებ გამართულ დიალოგსა და პოლიტიკის განხილვაში რეგიონულ და გლობალურ დონეზე;
- საქართველოში, მოლდოვეთის რესპუბლიკასა და უკრაინაში დაიწყო დიალოგი მრავალი დაინტერესებული პირის მონაწილეობით;
- მოლდავეთის რესპუბლიკასა და საქართველოში ამაღლდა ინტერნეტ სერვისის პროვაიდერების მიერ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო ინსტრუქციების ცოდნა;
- უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების ევროსტანდარტების ცოდნის ამაღლება ონლაინ გამოხატვის თავისუფლებაში, ონლაინ კონფიდენციალურობაში და ა.შ. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მიზნობრივი საქმიანობით, რეგიონული გაცვლებისა და სარეკლამო მასალის გავრცელებით;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ამაღლდა საზოგადოების ცნობიერება ინტერნეტში ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს სტანდარტების თარგმნითა და გავრცელებით;
- ექსპერტების მიერ გაწეულ იქნა რეკომენდაციები საქართველოსა და მოლდოვეთის რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ევროპული სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკის გატარების და კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით ინტერნეტისა და ადამიანის უფლებების სფეროში.

ეროვნულ დონეზე მონაცემთა დაცვის სისტემის განვითარება და გაძლიერება

პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა რესურსები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საჭიროებებსა და მოთხოვნებზე ყურადღების უფრო მეტად გამახვილებისთვის მანამდე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ზოგიერთი მიღწევები მონაცემთა დაცვის სისტემებში (მაგალითად, უკრაინა და საქართველო) გამოყენებული იქნა მოდელად და საუკეთესო პრაქტიკად აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებისთვის. აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანას შორის მოხდა გამოცდილების გაზიარება, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის კავშირებისა და თანამშრომლობის გაღრმავებას.

- გაძლიერდა საქართველოს მონაცემთა დაცვის სააგენტოს შესაძლებლობები. პროექტის ფარგლებში მიწოდებული საექსპერტო დახმარების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან;

- გაძლიერდა მოლდავეთის მონაცემთა დაცვის სააგენტოს შესაძლებლობები. პროექტის ფარგლებში მიწოდებული საექსპერტო დახმარების შედეგად მომზადდა მოლდავეთის კანონპროექტი მონაცემთა დაცვის შესახებ;
- პროექტის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც შემუშავდა სასომხეთის კანონმდებლობა და სასომხეთის ეროვნული მონაცემთა დაცვის სააგენტოს განვითარების სტრატეგიის პროექტი 2017-2021 წლებისთვის;
- შემუშავდა და გავრცელდა ტრენინგის სახელმძღვანელო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირებისთვის;
- შემუშავდა და გავრცელდა მედიაში კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელო ინსტრუქციები;
- პროექტის ფარგლებში ბელორუსიის ხელისუფლებამ შეიმუშავა მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა დაცვის ორგანოს შექმნის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის კონცეფცია. ევროპის საბჭოს ექსპერტთა მხარდაჭერის საფუძველზე ბელორუსიის ხელისუფლების მიერ შემუშავდება ეროვნული კანონმდებლობა.

პროფესიონალი და პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის ხელშეწყობა თვითმარეგულირებელი ორგანოების რეგიონული ქსელის მეშვეობით

ამ რეგიონული პროექტის განხორციელების მიზანს წარმოადგენდა თვითრეგულირების შემდგომი გაძლიერება, ჟურნალისტური ეთიკური და პროფესიული სტანდარტების განვითარება და აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში პრეს-საბჭოების (თვითმარეგულირებელი ორგანოების) გამოცდილების გაზიარება რეგიონულ დონეზე.

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თვითრეგულირების ორგანოების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება ორ წელიწადში ერთხელ თვითრეგულირების ორგანოების ქსელის წევრების შეხვედრების ორგანიზებით;
- რეგიონულ დონეზე გამოცდილების გაზიარებამ ხელი შეუწყო ქსელის წევრებს გაეღრმავებინათ ცოდნა ევროპის თვითრეგულირებად სექტორში უახლესი მიღწევების და ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქსელის თვითრეგულირების ორგანოების წევრებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა განეხილათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საზოგადოების წევრების ტრანსსასაზღვრო საჩივრები ჟურნალისტების არაეთიკური ქცევის შესახებ.

- [პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს]

საარჩევნო კანონმდებლობისა და პრაქტიკის რეფორმა და არჩევნებთან დაკავშირებით რეგიონული თანამშრომლობის განვითარება

რეგიონული და ქვეყნისთვის სპეციფიკური ინიციატივების მეშვეობით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში გაძლიერდა ცენტრალური საარჩევნო კომისიების შესაძლებლობები სანდო არჩევნების ორგანიზების საკითხში. რეგიონულ დონეზე გამოცდილების გაზიარებით ცესკო-ს წევრებმა გაიღრმავეს ცოდნა საარჩევნო პროცესების ფუნდამენტურ ასპექტებში. ამ მიზნით, ვენეციის კომისიამ ორგანიზება გაუწია საარჩევნო ადმინისტრაციის ორ ევროპულ კონფერენციას, რომლებიც შეეხებოდა არჩევნებში

ნეიტრალურობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, ასევე, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას.

საარჩევნო პროცესში სხვადასხვა სქესის წარმომადგენლების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, პროექტის ფარგლებში მოეწყო გენდერული თანასწორობის შესახებ მულტილატერალური კონფერენცია ხუთი პარტნიორი ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისიების წარმომადგენლების მონაწილეობით. სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკის და უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა, ასევე პარლამენტარებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა აიმაღლეს ცოდნა (თავისუფალი) მედიისა და არჩევნების საკითხში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ვენეციის კომისიის ორგანიზებით ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელიც შეეხებოდა მედიის თავისუფლებას, როგორც დემოკრატიული არჩევნების ქვაკუთხედს.

ადგილობრივი დამკვირვებლების ტრენინგმა და ინგლისურ, უკრაინულ, მოლდოვურ, ქართულ ენებზე ნათარგმნა ორმა სახელმძღვანელომ - "საერთაშორისო არჩევნების სტანდარტების გამოყენება" და "არჩევნების გაშუქება", რომლებიც ფართოდ გავრცელდა 1000-ზე მეტ ადგილობრივ დამკვირვებელს შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ხელი შეუწყო ევროპული სტანდარტების შესაბამისად არჩევნების დაკვირვებას. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოებზე დაფუძნებული ელექტრონული სწავლების კურსი გამოიყენება არა მხოლოდ დამკვირვებლების მიერ, არამედ ასევე არჩევნებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე, იმ პირების მიერ, რომელთაც სურთ ცოდნა აიმაღლონ არჩევნებთან დაკავშირებით (ივლისი-აგვისტო 2017: 105 მომხმარებელი, 29 სერთიფიკატი).

"აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის რეგიონული კვლევა" გამოქვეყნდა და გავრცელდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში 1,700 საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა შორის. იგი გამოიყენება საწყისად პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდასა და საზოგადოებრივ დისკუსიას და ადგენს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის ძირითად ბარიერებს. კვლევა ხელმისაწვდომია სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ქართულ, რუმინულ და უკრაინულ ენებზე.

რეგიონულ დონეზე ჩატარებული ოთხი კონფერენციის ფარგლებში, 400-მდე მონაწილემ ერთმანეთს გაუზიარა მიღებული გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა და შეიმუშავა რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში, როგორ უნდა შესრულდეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების რეკომენდაციები და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკაში სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით გამჭვირვალეობის უზრუნველყოფისა და კონტროლის მექანიზმები.

► [პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს]

ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

ამ პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ადგილობრივი საჯარო ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალეობის, ეფექტიანობისა და ინკლუზიურობის ამაღლებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ევროპული ქარტიის პრინციპების შესაბამისად. მაღალი ეთიკური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკისა და უკრაინის 60-მა მერმა ერთმანეთს გაუზიარა მოქალაქეზე

ორიენტირებული პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო პრაქტიკული საშუალებები და მეთოდები. აღნიშნული ქვეყნებიდან თორმეტ მუნიციპალიტეტს დახმარება გაეწია ადგილობრივი ინიციატივების განხორციელებაში, რომლებიც შეეხებოდა ეთიკურ და გამჭვირვალე მმართველობას, რამაც განაპირობა ადგილობრივი დემოკრატიისა და საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

გარდა ამისა, შეიქმნა ქსელი, რომელშიც გაერთიანდნენ კარგი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის სფეროს ექსპერტები, ასევე ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ასოციაციების წარმომადგენლები. რეგულარული შეხვედრების შედეგად, ქსელი უზრუნველყოფს სასარგებლო პლატფორმას ადგილობრივი დემოკრატიის გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისთვის, განსაკუთრებით ტერიტორიული რეფორმების კონტექსტში. ზემოხსენებული პლატფორმა ასევე დახმარებას უწევს ადგილობრივი ხელისუფლების ეროვნულ ასოციაციებს შეიტანონ თავიანთი წვლილი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში. შედეგები მოიცავს რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის განვითარების მიზნით საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკის და უკრაინის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ეროვნულ ასოციაციებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმების ხელმოწერას.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, პროექტის ფარგლებში ხელი შეეწყო მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობას და ადგილობრივი ფინანსური მაჩვენებლების დასახვას, რაც წარმოადგენს ქვეყნების ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობების განვითარების პრაქტიკულ საშუალებებს. პროექტის ფარგლებში ეროვნულ დონეზე შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის; ხოლო მუნიციპალურ დონეზე პროექტის ფარგლებში დაფინანსდა ხუთი ადგილობრივი ინიციატივა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის განვითარებას მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წყალმომარაგების და საკანალიზაციო, ნარჩენების მართვის, გზების შენახვისა და ტურიზმის სფეროებში. პროექტის ფარგლებში სომხეთის, საქართველოს და მოლდავეთის რესპუბლიკის 50 მუნიციპალიტეტში ხელი შეეწყო ადგილობრივი ადმინისტრაციის ფინანსური მართვის გაუმჯობესებას.
ადგილობრივი ფინანსური მაჩვენებლების დასახვის ინოვაციური ინსტრუმენტების შემდგომი გამოყენების უზრუნველსაყოფად, პროექტის ფარგლებში შემუშავდა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა და პორტალი ეროვნულ ადმინისტრაციებთან პარტნიორობით. პროექტის ფარგლებში დახმარება გაეწია ავტონომიურ ხელისუფლებას საკანონმდებლო ინიციატივებისა და სამართლებრივი მოსაზრებების შემუშავებაში; პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა ასევე თანამშრომლობა ბელარუსიის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაგეგმვისა და ანგარიშვალდებულების საკითხებზე.

► [პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს]

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ შემდეგ ბმულს: http://partnership-governance-eu.coe.int

საკონტაქტო პირი: ნიკოლა ჰოუსონი, კომუნიკაციის ოფიცერი, +33 388 41 22 39

2017 წლის სექტემბერი